პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგუბერნიო ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 43 (10437)

სამშაბათი, 21 თებერვალი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

გუშინ მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი. ერთსულოვნად მიღებული დადგენილებით, XX ყრილობამ მთლიანად და სავსებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მოღვაწეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

18 თებერვლის საღამოს სხდომა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის 18 თებერვლის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **ფ. რ. კოზლოვის** თავმჯდომარეობით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ო. ვ. კუუსინენს** (კარელია-ფინეთის პარტორგანიზაცია). საერთაშორისო ასპარეზზე, ამბობს იგი, ამჟამად მიმდინარეობს უდიდესი ისტორიული პროცესი — ხალხთა მასებისა და მთელი ხალხების გადასვლა იმპერიალიზმის სფეროდან მშვიდობის დასაცავად ანტიიმპერიალისტიურ ბრძოლის პოზიციებზე, ხოლო შემდეგ სოციალიზმის პოზიციებზე. დიდი სოციალისტური ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მეთაურობენ, დღითიდღე სულ უფრო მეტ მეგობარს იძენს სხვა ქვეყნებში, მეგობრებს, რომლებიც თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების გამო სოლიდარობას უცხადებენ ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკას.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდით, აცხადებს დასასრულ ამხ. კუუსინენი, ჩვენი პარტიის ახალ პოზიციას თანამედროვე ეპოქაში ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის საკითხზე, პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში. ეს პოზიცია, რომელიც სავსებით შეესაბამება ახლანდელ ვითარებას, დაგვეხმარება მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ჩიუნგ ტინი**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ამბობს იგი, გამოაღვიძა ვიეტნამელი ხალხი ისევე, როგორც ყველა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნის ხალხები, მან ვიეტნამის მუშათა კლასსა და მთელ ვიეტნამელ ხალხს უჩვენა მათი განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და ახალი ცხოვრების შენებლობის გზა.

ამხ. ჩიუნგ ტინი აქვეყნებს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი, ხელმოწერილს პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ხო ში მინის მიერ.

—ვიეტნამის მუშათა კლასისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით, — ნათქვამია მისალმებაში, — ჩვენ მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი მშვიდობიან მშენებლობასა და ხალხთა მეგობრობის განვითარებაში ცხადყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე ძალას. ეს წარმატებანი აღფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს და გამატკიცებენ მათს რწმენას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავიანთი განთავისუფლებისადმი, ამრავლებენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ძალებს, რომლებიც იბრძვიან უცხოეთის იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

ვიეტნამის მშრომელთა პარტია და მთელი ვიეტნამელი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, დარწმუნებული არიან რა, რომ ყრილობა ახალ ძალებს შემატებს ვიეტნამელ ხალხს მშვიდობიანი, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავების გზაზე დამდგარი ვიეტნამის შექმნისათვის ბრძოლაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩმა.**

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის სახელით გამოდის ამხ. **ჰ. პოლიტი,** რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. იგი ამბობს, რომ მოხარულია გადასცეს მისალმება იმასთან დაკავშირებთან, რომ ყრილობა აღნიშნავს სოციალიზმის დიად მიღწევებს და კიდევ უფრო დიდ მიზნებს, რომლებსაც კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხი ისახავს.

ინგლისის კომუნისტური პარტია, თქვა ამხ. ჰ. პოლიტმა, მუდამ იბრძვის იმისათვის, რომ დარაზმოს მუშათა კლასი და გამოიყენოს მისი დიდი ძალა მშვიდობის პოლიტიკისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პარტიის ყრილობა, რომელიც მარტში გაიმართება, მობრუნების პუნქტი იქნება პარტიის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში და რომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაუჭერს მხარს როგორც ჩვენს უახლოეს მოთხოვნებს, ისე აგრეთვე ჩვენს პროგრამას — „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, ამბობს ჰ. პოლიტი, მე კვლავ ვიმეორებ განცხადებას, რომელიც გავაკეთე დიდ ფოლადსამსხმელო ცენტრში — შეფილდში „ცივი ომის“ დასაწყისში 1947 წელს: „ინგლისელი მუშები არასოდეს არ მიიღებენ მონაწილეობას ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, აცხადებს დასასრულ ორატორი, რომ სახალხო ჩინეთთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ინდოეთის დიდ ხალხთან და კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების ყველა ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირი შეძლებს ჩაფუშოს ომის გამჩაღებელთა გეგმები და განახორციელოს მთელი კაცობრიობის ყველაზე სანუკვარი სურვილი — დაამყაროს მტკიცე მშვიდობა.

შემდეგ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სახელზე მიღებული ამხ. ტიტოს მისასალმებელი წერილი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირისაგან. (საკდესი).

20 თებერვლის დილის სხდომა

20 თებერვლის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **მ. ა. იასნოვის** თავმჯდომარეობით. ყრილობა განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

პირველი გამოვიდა ამხ. **ი. დ. მუსტაფაევი** (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია). საანგარიშო პერიოდში, ამბობს იგი, ცენტრალური კომიტეტი გაბედულად აყენებდა და შემოქმედებითად წყვეტდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყვეს მეხუთე ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელება.

შემდეგ ამხ. მუსტაფაევი ლაპარაკობს პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკასა და დიდი რუსი ხალხის დახმარებაზე საბჭოთა კავშირის სხვა, წინათ ჩამორჩენილი ხალხებისადმი, რის შედეგადაც ამ ხალხებმა უდიდესი მიღწევები მოიპოვეს თავიანთ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. მაგალითად, აზერბაიჯანში 1913 წელთან შედარებით მრეწველობა თითქმის 12-ჯერ გაიზარდა. თუ რევოლუციამდე აქ მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტი უწიგნური იყო, ახლა განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება და იქმნება პირობები საყოველთაო სავალდებულო ათწლიანი სწავლების შემოსაღებად.

ილაპარაკა რა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გამოვლინებულია ნავთობისა და გაზის ახალი მდიდარი საბადოები.

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **დ. ნ. აიდიტი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის დიდი მანძილია, ჩვენი ქვეყნების ხალხები, ამბობს ამხ. აიდიტი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ჩვეულებებითაც. მაგრამ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხები დაახლოვა მიზნების ერთობამ და ერთობლივმა ბრძოლამ კაცობრიობის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ათასობით წერილი ინდონეზიელი მუშებისაგან, გლეხებისაგან, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობისაგან, რომლებიც ითხოვენ მათი სახელით გადავცეთ სალამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობასა და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ამხ. აიდიტი ლაპარაკობს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაზე, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი ინდონეზია იყო. მხურვალე გამოხმაურებამ, რომელიც გამოიწვია ამ კონფერენციამ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხში და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მთავრობაში, განამტკიცა ინდონეზიელი ხალხის რწმენა, რომ დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლა დიადი ძლევამოსილი ბრძოლაა, რომელიც მოიცავს ყველა ქვეყანასა და კონტინენტს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ი. ცედენბალი,** რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა, თქვა მან, ხალხის ინტერესებისადმი, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმისადმი თავდადებული სამსახურის უაღრესად მკაფიო მაგალითია.

მიჰყვება რა ლენინურ გზას, ჩვენმა ხალხმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა სახელმწიფოს კეთილშობილური დახმარებით განახორციელა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნები და უდიდესი წარმატებანი მოიპოვა მონღოლეთის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევაში. მონღოლეთის რესპუბლიკას ახლა აქვს თანამედროვე მრეწველობა და ტრანსპორტი, ჰყავს თავისი ეროვნული მუშათა კლასი და თავისი მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც გაიზარდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების პირობებში.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია დაუცხრომლად ზრდის და კვლავაც აღზრდის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, თქვა დასასრულ ამხ. ცედენბალმა, გამოცდილების დიდი პრაქტიკული სკოლაა ჩვენთვის. დიდი გულითადი მადლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას შთამაგონებელი ნიმუშისა და მაგალითისათვის, ცოდნის გაზიარებისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა.**

ამხ. **ზ. ი. მურატოვი** (თათრეთის პარტორგანიზაცია) ლაპარაკობს, თუ რა უდიდესი მუშაობა შეასრულა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლებისათვის, მისი რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცებისათვის.

ამხ. მურატოვი თავის სიტყვაში მთავარ ყურადღებას აქცევს ნავთობის მრეწველობის განვითარებას. მეხუთე ხუთწლედი თათრეთისათვის იყო მეურნეობის ამ დარგის სწრაფი ზრდის ხუთწლედი. ნავთობის წლიური ამოღების მოცულობა აქ 15-ჯერ გაიზარდა, და ახლა თათრეთი ჩვენს ქვეყანას გაცილებით მეტ ნავთობს აძლევს, ვიდრე მთელ მეფის რუსეთში იღებდნენ.

ახალ ხუთწლედში მთელი ჩვენი ქვეყნის ნავთობის ამოღების მატების თითქმის ნახევარი თათრეთმა უნდა მოგვცეს.

შემდეგ ამხ. მურატოვი ლაპარაკობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, თათარი ხალხის კულტურის ზრდაზე.

ამხ. **ა. დ. დანიალოვმა** (დაღისტნის პარტორგანიზაცია) ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ მუშებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი მეექვსე ხუთწლედის შესახებ.

ახორციელებენ რა პარტიის გადაწყვეტილებებს, თქვა შემდეგ ამხ. დანიალოვმა, დაღისტნის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ უზრუნველყვეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება. ამ უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა საქმის მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში, უფრო კონკრეტული გახდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1955 წელს 39 პროცენტით და ბოსტნეულისა 35 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1954 წელს. გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა. გადიდდა წველადობა და მატყლის ნაპარსი. ახლა კოლმეურნეები შრომადღეზე გაცილებით მეტ პროდუქტს იღებენ, ვიდრე წინა წლებში.

ამხ. **მ. ა. შოლოხოვმა** (კამენსკის პარტორგანიზაცია) თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებს. მან მოაგონა სხდომას, რომ ამხ. სურკოვმა თავის სიტყვაში ყრილობაზე, ილაპარაკა რა ჩვენი ლიტერატურის მიღწევებზე, ეს მდგომარეობა დაასურათა გამოცემული წიგნების მზარდი რაოდენობით. მაგრამ ლიტერატურის დონე, ამბობს ორატორი, წიგნების რაოდენობით როდი განიზომება.

თქმა არ უნდა, ამბობს ამხ. შოლოხოვი, რომ თავისი არსებობის მანძილზე ჩვენმა ლიტერატურამ ბევრი სრულფასოვანი ნაწარმოები შექმნა და სამართლიანად გახდა მსოფლიოს წამყვანი ლიტერატურა. მაგრამ წამყვანი იგი იმიტომ კი არ გახდა, რომ მიაღწია მწერლებისათვის წინათ მიუწვდომელ რაღაც მხატვრული სრულყოფის სიმაღლეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი, თვითეული ჩვენი ნიჭის და კვალად, კომუნიზმის ყოვლისმძლე იდეების პროპაგანდას ვეწევით. აი რა არის ჩვენი წარმატების საიდუმლოება.

ამხ. შოლოხოვმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხს.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. კ. ჟეგალინს** (სტალინგრადის პარტორგანიზაცია). იგი ამბობს, რომ სტალინგრადელი კომუნისტები გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ იგი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ პოლიტიკას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობაში.

ამხ. ჟეგალინი ლაპარაკობს სტალინგრადელთა შრომითს მონაწილეობაზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1955 წელს გადიდდა 83 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობი გადიდდა 843 ათასი ჰექტარით.

ორატორმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების რეზერვებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის სამრეწველო საწარმოებში.

აკადემიკოსმა **ი. ვ. კურჩატოვმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა მეცნიერების ნაშრომებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების შესახებ.

მუშაობა ატომის რეაქტორთა დარგში, აღნიშნავს ორატორი, წარმოებს სოციალისტური ბანაკის სხვა ამ ქვეყნების მეცნიერებთან და ინჟინრებთან ერთად, სადაც საბჭოთა კავშირის მონაწილეობით იქმნება ატომის რეაქტორები მეცნიერული მიზნებისათვის და სახავენ ატომის ელექტროსადგურთა მშენებლობას.

ორატორი აღნიშნავს, რომ ატომის ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას სატრანსპორტო მიზნებისთვისაც. ამჟამად მთავრდება ატომის ძრავიანი ყინულმჭრელის აშენების პროექტის შედგენა. ეს ყინულმჭრელი გემებს გაატარებს ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე, ისე, რომ სათბობის მარაგი არ შეივსოს ორი-სამი წლის განმავლობაში. მომდინარე ხუთწლედში ფართოდ უნდა განვითარდეს მუშაობა ატომის ძალდანადგარების დარგში არა მარტო ყინულმჭრელისათვის, არამედ სხვა ხომალდებისთვისაც, ავიაციისა და სახმელეთო ტრანსპორტისათვის.

თეორიული ნაშრომები ატომისა და ატომგულის ფიზიკაში, აღნიშნავს შემდეგ ამხ. კურჩატოვი, იმის შესაძლებლობას ქმნიან, რომ გაჩაღდეს ექსპერიმენტული მუშაობა მართული თერმოატომგულის რეაქციების განსახორციელებლად. ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, გვსურს ვიმუშაოთ კაცობრიობისათვის ამ უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემის გადასაწყვეტად მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერებთან, მათ შორის ამერიკის მეცნიერებთან ერთად, რომელთა მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევებს დიდად ვაფასებთ. ეს რომ შესაძლებელი გახდეს, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ, — ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღოს საბჭოთა კავშირის წინადადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ფინეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **ა. აალტონენი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა:

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდ ინტერესსა და აღტაცებას იწვევს საბჭოთა ადამიანების გრანდიოზული მიღწევები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მრეწველობისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება, ყამირი მიწების ათვისება, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის ზრდა, აგრეთვე უანგარო დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებს უწევს. ფინელ ხალხში ფართოდ გავრცელდა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების უაღრესად საიმედო გარანტიაა საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და თანამშრომლობა.

ფინეთის კომუნისტური პარტია მთელი ძალღონით იბრძოლებს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები გაერთიანდნენ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, დემოკრატიულ უფლებათა უზრუნველყოფისათვის ბრძოლის, კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და რეაქციის პოლიტიკური შეტევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა, თქვა დასასრულ ამხ. ა. აალტონენმა, შთამაგონებელი მაგალითია ჩვენი პარტიისათვის.

(საკდესი).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ

4.700 მძიმე წონის მატარებელი 1956 წელს

პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებს თბილისელი მეელექტრეები მძიმე წონის მატარებლების სისტემატური რეისებით აღნიშნავენ. დეპოს კოლექტივმა, რომელიც შესანიშნავი მიღწევებით შეხვდა ყრილობის გახსნას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა და ახალ წარმატებებს აღწევს.

დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე მოწინავე მემანქანემ გ. ბოგვერაძემ განაცხადა:

— კომუნიზმის მშენებლობის ის ნათელი და ფრანდიოზული პროგრამა, რომელიც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში არის დასახული, სიამაყით ავსებს ყოველი საბჭოთა ადამიანის გულს. ჩვენმა კოლექტივმა ცუდად რიდი იმუშავა გასულ ხუთწლედში. მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა ვიმუშაოთ უფრო კარგად, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელების საქმეში. მე კისრულობ წელს ნორმის გადამეტებით გადავზიდო სულ ცოტა 60 ათასი ტონა ტვირთი და გავწიო ელექტროენერგიის ეკონომია.

დეპოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წლის ტვირთზიდვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულოს, ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენი გაზარდოს 9 კილომეტრით, წლის ბოლოსთვის გადაიყვანოს 4.700 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდოს 1.200 ათასი ტონა ტვირთი, 5,5 პროცენტით გაზარდოს ზრმის ნაყოფიერება, 7 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

მაღაროელთა ვალდებულებები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ყველა მაღაროსა და საწარმოში იმართება მიტინგები, რომლებზეც ჭიათურელი მაღაროელები ეცნობიან და ერთხმად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებას პარტიის XX ყრილობისადმი, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც გეგმის გადამეტებით უკვე ათასობით ტონა მარგანეცი გამოუშვა, ვალდებულება აიღო თებერვლის დავალება ორი დღით ადრე განაღდოს.

— მშობლიური პარტიის XX ყრილობა, — განაცხადა ნოვატორმა მბურღავმა გ. თოდაძემ, — საბჭოთა ხალხს უსახავს კომუნიზმის მშენებლობის შემდგომ ნათელ გზას. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენ დიდი ისტორიული გამარჯვებები მოვიპოვეთ, მაგრამ პარტია მოგვიწოდებს არ გავშედიდურდეთ, დამშვიდებას არ მივეცეთ, ვიმუშაოთ იმაზე უფრო კარგად, ვიდრე აქამდე ვმუშაობდით. მე კისრულობ პირადი ახალი ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შევასრულო.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სხვა მაღაროთა კოლექტივებმა, ცალკეულმა ბრიგადებმა და მუშებმა.

ზრდიან ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები უმაგალითო შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებს. სტალინის სახელობის შახტის ამ უბნის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ს. კუკულავა ხელმძღვანელობს, იბრძვის თებერვლის ბოლომდე მრავალი ასი ტონა ზეგეგმიო ქვანახშირის ამოღებისათვის. ლენინის სახელობის შახტში მნგრეველებმა ვ. რობაქიძემ, ო. გიორგაძემ, ლ. გოჩელაშვილმა, ი. ვარდოსანიძემ, მთხრელმა ს. გუკომ, უბნის უფროსმა გ. ბეღელაძემ იკისრეს უზრუნველყონ ქვანახშირის მოპოვების გეგმების სისტემატური გადაჭარბებით შესრულება.

მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა თებერვლის 16 დღის დავალება 103,7 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით მუშაობენ გელათის შახტში, სადაც თებერვლის 16 დღის დავალება 103,5 პროცენტით გაანაღდეს.

პაჭრიოჯული აღმავლობით

მახარაძე. (საკ. კორ.). აგიტატორები დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მშრომელებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების გასაცნობად. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე, რომელსაც 600-მდე კაცი ესწრებოდა, ყრილობის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. გ. წითლაძემ.

კოლმეურნე ნ. თავაძემ აღნიშნა: — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათლად ჩანს მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ვალდებულებას ვკისრულობ ჩემთვის მოსავლელად მომაგრებულ ერთ ჰექტარ ჩაის ფართობზე მოვკრიფო 9.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამისა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად იკისრეს წელს 239 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 365 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი სიმინდი, საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მიიღონ 1.200 ლიტრი რძე.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის, შრომის ორჯონიკიძის სახელობისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში, აბრეშუმის ფაბრიკაში, ფაიფურისა და ლუდის ქარხნებში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

შრომითი ენთუზიაზმით

აბაშა. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები და მექანიზატორები ეცნობიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ყოიავამ ყრილობის მასალების გაცნობისას განაცხადა:

— ჩვენი არტელის წევრები მტკიცე პირობას იძლევიან ერთიორად გაადიდონ სიმინდის მოსავლიანობა. ჩვენი ვალდებულებაა წელს ახალ ათვისებულ 280 ჰექტარ ყამირ მიწაზე დავთესოთ სიმინდი და ჰექტარზე მოვიყვანოთ 50 ცენტნერი, სულ კოლმეურნეობაში დავთესოთ 950 ჰექტარი ნაცვლად შარშანდელი 850 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერისა, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე მივიღოთ 20 ცენტნერი ღორის ხორცი.

იმ ბრიგადებმა, რომელთა ხელმძღვანელები არიან შ. ჩაჩავა და ბ. ჩოჩია, იკისრეს დაამუშაონ 60 ჰექტარი თვითეულმა და საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი სიმინდი.

სოფელ სუჯუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს 320 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი, ხოლო კოლმეურნეებმა ბიქტორ და ალექსანდრე მინინოშვილებმა იკისრეს ჰექტარზე მოიყვანონ 80 ცენტნერი სიმინდი თვითეულმა.

სურათზე: ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის ექსკავატორების ამწყობი საამქრო. აგიტატორი კ. გოგისვანიძე საამქროს მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის სიტყვის გაგრძელება

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 42).

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია თანამედროვე ეტაპზე სოციალ-დემოკრატიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

უეჭველია, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გათიშვა ისეთ პირობებში, როცა ხალხის მთელი ძალები უნდა გაერთიანდნენ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთიორად შეუწყნარებელია. ცხოვრებამ წამოაყენა მთელი რიგი ისეთი დიდი საკითხები, რომლებშიც ჩვენ სოციალ-დემოკრატებთან შეხების წერტილები გვაქვს და, მაშასადამე, იქმნება ამ საკითხებში მათთან საქმიანი კონტაქტების, დაახლოებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა გამომდინარეობს უწინარეს ყოვლისა იქიდან, რომ მუშათა მოძრაობის წინაშე თანამედროვე პირობებში მთავარ ამოცანებად დგას ისეთი ამოცანები, როგორიც არის მშვიდობის, ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვა. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ვხედავთ მუშათა მასების ძლიერ გამემარცხენეობას. სოციალისტური პარტიების, ქრისტიანთა პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების რიგითი წევრების უდიდესი უმრავლესობა განწყობილია მშვიდობის სასარგებლოდ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიანობის იდეა სულ უფრო ძლიერ დაეუფლება მუშათა კლასის სხვადასხვა რაზმს და მოიტანს პრაქტიკულ შედეგებს. მაგრამ ეს მოხდება არა თვითდინებით, და ეს დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენზე, კომუნისტებზე, ჩვენს აქტივობაზე შესაბამისი მიმართულებით.

ძნელია გადაჭარბებით შეგაფასოთ ამ თეორიულ დებულებათა მნიშვნელობა, რომლებიც შემუშავებულია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ამ დებულებებს უეჭველად უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაციისათვის, ისინი დახმარებას გაუწევენ მთელ მოწინავე ძალებს, რომლებიც იბრძვიან მტკიცე მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ კაპიტალიზმი, რომელმაც თავისი დრო მოჭამა, შეიცვალოს ახალი, მოწინავე საზოგადოებრივი წყობილებით, რომელსაც ხალხებისათვის მოაქვს ხსნა ექსპლოატაციისაგან, ომებისაგან, ყოველი ფორმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. **(მეუხარე ტაში).**

პარგიულ-ორგანიზაციული მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე

ამხანაგებო! არანაკლები აქტივობითა და ინიციატივით წყვეტდა პარტია საანგარიშო პერიოდში ჩვენი ქვეყნის საშინაო განვითარების საკითხებსაც. ამ აქტივობას ის ედო საფუძვლად, რომ პარტია ნათლად ხედავდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს.

პარტია გაბედულად აუკარავებდა სამეურნეო, სახელმწიფოებრივი და პარტიული საქმიანობის სხვადასხვა დარგის ნაკლოვანებებს. ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ პლენუმებზე პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა. პარტიამ მშრომელებს მოუწოდა ახალ ღონისძიებათა განხორციელებისაკენ, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე მრეწველობის საწარმოების მუშაობის გარდაქმნისაკენ და უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა გასწია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის შემდეგ ჩვენს პარტიას ჯერ არ განუხორციელებია ისეთი უდიდესი სამეურნეო ღონისძიებანი, როგორიც ჩვენს ქვეყანაში აქაამად ხორციელდება. ის გარემოება, რომ ორი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ნათესი ფართობი გავადიდეთ 30 მილიონზე მეტი ჰექტარით, რაც ევროპის ერთად აღებული რამდენიმე საჰექტარიოს ნათეს ფართობს უდრის, იმას მოწმობს, რომ ჩვენს პარტიას ახლა შეუძლია გადაჭრას ყველაზე დიდი ამოცანები.

პარტიის უდიდესი მუშაობა თავის ნაყოფს იძლევა. სოფლის მეურნეობის დარგში გადადგმულია პირველი დიდი ნაბიჯი მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდების საქმესა და მეცხოველეობის განვითარებაში, შექმნილია იმის პირობები, რომ უახლოეს წლებში მკვეთრად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ისეთი ოდენობით, რომელიც დაკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს. მრეწველობის დარგში მეხუთე ხუთწლედის ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში შესრულება აგრეთვე მოწმობს, თუ რა უდიდესი რეზერვები ვლინდება ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ დარგშიც.

მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით ახლა შეგვიძლია დავსახოთ ახალი გიგანტური ამოცანები. ახლა შეგვიძლია სწრაფი ტემპებით განვავითაროთ არა მარტო მძიმე მრეწველობა როგორც მთელი სახალხო მეურნეობის საძირკველი, არამედ მოხმარების საგნების წარმოებაც, მნიშვნელოვნად გავამრავლოთ საზოგადოებრივი სიმდიდრე და ამ საფუძველზე სერიოზულად გავაუმჯობესოთ ხალხის მასების კეთილდღეობა. სწორედ ეს ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის დირექტივების პროექტში. მეექვსე ხუთწლედის განხორციელება მომასწავებელი იქნება სოციალისტური ეკონომიკის ახალი დიდი წარმატებებისა, ჩვენი ქვეყნის ახალი დიდი ნაბიჯისა სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით და ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდება ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა იმისათვის, რომ მეექვსე ხუთწლედში შემდგომ გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების პირობები, ღონისძიებებს, რომელთა შესახებ ამხ. ხრუშჩოვმა მოგახსენათ: მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშა-მოსამსახურისათვის 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის წამყვან პროფესიათა მუშების — მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე მუშების, აგრეთვე მოზარდების 6 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ ხელფასის შეუმცირებლად, უახლოეს ხანში შაბათობით და უქმეების წინადღეებში სამუშაო დღის 2 საათით შემცირების შესახებ, მუშა-მოსამსახურეთა მცირეხელფასიანი ჯგუფებისათვის ხელფასის გადიდების, საპენსიო საქმის მოწესრიგების შესახებ, საბინაო მშენებლობის მკვეთრი გაფართოების (ერთიორად მეხუთე ხუთწლედთან შედარებით), სასადილოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ყველა ამ ღონისძიებას ახალ დონეზე აჰყავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. პარტიამ იზრუნა ყველასთვის: მშრომელებისათვის, ახალგაზრდობისათვის — ჩვენი იმედისა და მომავლისათვის, შრომის ვეტერანებისათვის, ქალებისათვის, ბავშვებისათვის, ყოველი ადამიანისათვის, ისე როგორც ეს შეეფერება სოციალისტურ საზოგადოებას.

დასახულ ღონისძიებებს ფართოდ ეხმაურებიან საზღვარგარეთ. ყველა პატიოსანი ადამიანი ჩვენთან ერთად ხარობს. მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ეს არ მოსწონს. ახალი საბჭოთა ხუთწლიანი გეგმის გამოქვეყნებამ ზოგიერთი წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. ამ წრეებს აღარ ეეჭვებათ, რომ მორიგ საბჭოთა ხუთწლედს შევასრულებთ. ამას ახლა ყველა აღიარებს. მათ სხვა რამე აშინებთ. ამაზე აშკარად წერდა ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი უ. დუგლასი. „თუ რუსეთმა, — ამბობდა იგი,—მიაღწია მშვიდობას, თუნდაც ათი წლის მანძილზე, იგი შეძლებს ძლიერ აამაღლოს ცხოვრების დონე თავის ქვეყანაში. ამით იგი შეძლებს უდიდესი გავლენა მოახდინოს აზიაზე, აგრეთვე ევროპაზეც... გაღირებული, მშვიდობიანი, აყვავებული რუსეთი ყველაზე ძნელი საერთაშორისო პრობლემაა“.

ბატონი დუგლასი ორი სოციალური სისტემის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების წინაშე კარგავს სამშვიდეს, და ჩვენ არ ვაპირებთ მის დამშვიდებას. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობიანი, აყვავებული რუსეთი სრულიადაც არ არის „ძნელი საერთაშორისო პრობლემა“ მთელი მსოფლიოს უბრალო მშრომელი ადამიანებისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა წარმატებანი სამართლიანად მიაჩნიათ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის გამარჯვებად. **(ხანგრძლივი ტაში).**

მეექვსე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ორი სისტემის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ამ ეტაპის თავისებურება ის არის, რომ საბჭოთა ქვეყანას ახლა აქვს ყველა საჭირო პირობა, რათა ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადაწყვიტოს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში.

ამისათვის ჩვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა გადავიყვანოთ ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე, სერიოზულად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. ეს არის ამჟამად მთავარი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სოციალიზმის პირველობა კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში. ამასთან დაკავშირებით წარმოების ეკონომიკის საკითხებს ისეთი მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც არასოდეს არ ჰქონია.

ახალ დონეზე უნდა ავიყვანოთ სამეურნეო ხელმძღვანელობა, სამინისტროების მუშაობა, საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მუშაობა.

ამ პირობებში განსაკუთრებულ მოთხოვნებს ვუყენებთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობასაც.

თავის XX ყრილობას ჩვენი პარტია უფრო ერთიანი და დარაზმული შეხვდა, ვიდრე ოდესმე. პარტიის სწორმა პოლიტიკურმა ხაზმა, მშრომელთა ინტერესებისათვის მისი საქმიანობის დაუშრეტელმა ენერგიამ უფრო მჭიდროდ, ვიდრე ოდესმე, დარაზმა პარტიის გარშემო მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი ურღვევი მეგობრობა.

პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა მისი ძალისა და სიმტკიცის ძირითადი პირობაა და ამავე დროს ყველა მისი წარმატების წყაროა. მხოლოდ თავისი რიგების ერთიანობის მეოხებით შეძლო კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გადაეჭრა საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხები, ხელმძღვანელობა გაეწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის.

პარტიის ერთიანობის განმტკიცებას და მისი აქტივობის, ინიციატივის, ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენამ, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა და რომლებიც ხშირად ირღვეოდა პარტიის XIX ყრილობამდე.

პიროვნების კულტის თეორია და პრაქტიკა, რაც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის და რაც გავრცელდა XIX ყრილობამდე, ძნიშვნელოვან ზიანს აყენებდა პარტიის როგორც ორგანიზაციულ, ისე იდეოლოგიურ მუშაობას. პიროვნების კულტის თეორია და პრაქტიკა ამცირებდა ხალხის მასების როლს და პარტიის როლს, ამცირებდა კოლექტიურ ხელმძღვანელობას, ძირს უთხრიდა შინაპარტიულ დემოკრატიას, ახშობდა პარტიის წევრების აქტივობას, მათს ინიციატივასა და თვითმოქმედებას, იწვევდა უკონტროლობას, უპასუხისმგებლობას და თვითდინებასაც კი ცალკეულ პირთა მუშაობაში, ხელს უშლიდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას და წარმოშობდა საკითხების ცალმხრივ, ზოგჯერ კი მცდარ გადაჭრას.

კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის აღდგენა ნიშნავს პარტიული მშენებლობის საფუძველთა საფუძვლის აღდგენას. მართლაც, ჩვენი პარტია წარმოადგენს ცოცხალ თვითმოქმედ ორგანიზაციას. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, პარტიული ორგანოების არჩევითობა და ანგარიშვალდებულება, კრიტიკა და თვითკრიტიკა — ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანი პირობებია ინიციატივის გამოსაჩენად, მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსააშკარავებლად. მათი აღმოფხვრის გზების გამოსანახავად, კომუნისტთა აქტივობის განსაკუთარებლად.

ამჟამად წარმატებით რომ მიმდინარეობს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის აღდგენა ყველა საფეხურზე, ცენტრალური კომიტეტით დაწყებული და პირველადი ორგანიზაციებით დამთავრებული, ამას მოწმობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულ უფრო გაშლა, უმნიშვნელოვანესი საკითხების ნამდვილად კოლექტიური განხილვა და გადაჭრა პარტიულ ორგანოებში. სრულიად დაუეჭვებლად შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურ კომიტეტში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი მთლიანად აღდგენილია. ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა გადავიდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის — ამ ფართო, კოლეგიალურად მოქმედი პარტიული ცენტრის ხელში, რომელიც რეგულარულად იკრიბება და რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გადამწყვეტ უბნებთან. ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმს, უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობას. **(ტაში).**

საჭიროა მივაღწიოთ პიროვნებათა კულტის მავნე თეორიისა და პრაქტიკის სრულ დაძლევას და იმას, რომ ზუსტად განვახორციელოთ ყველა პარტიული ორგანოს მუშაობაში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი. ყოველმა პარტიულმა მუშაკმა ბოლომდე უნდა შეიგნოს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის მნიშვნელობა, პრინციპისა, რომელიც პარტიის ერთიანობის, სწორი პოლიტიკის გამომუშავებისა და მისი წარმატებით განხორციელების, კადრების სწორი აღზრდისა და მთელი პარტიული მუშაობის ახალი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

პარტიის დარაზმულობა, ორგანიზებულობა, ბრძოლისუნარიანობა ბევრად არის დამოკიდებული მის პირად შემადგენლობაზე.

პარტია ყველას როდი იღებს, ვინც სურვილს აცხადებს შევიდეს მის რიგებში. იგი იღებს ყველაზე მოწინავე და აქტიურ ადამიანებს, აწესრიგებს მიღების საქმეს და ითვალისწინებს იმას, თუ რა ამოცანები დგას მის წინაშე მისი მოღვაწეობის ამა თუ იმ ეტაპზე. ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში პარტიაში უმთავრესად იღებდნენ მუშებსა და გლეხებს. ომის წლებში პარტიაში მიღებისას უპირატესობას აძლევდნენ იმათ, ვინც ფრონტის მოწინავე ხაზზე იყო. ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ახლა, როცა წყდება მატერიალური დოვლათის წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანა, გონივრული იქნება, თუ პარტიაში უწინარეს ყოვლისა მივიღებთ ამ დოვლათის უშუალო მწარმოებლებს — მუშებსა და კოლმეურნეებს. **(ტაში).**

როგორია საქმის ვითარება პარტიაში მიღების მხრივ? უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში მუშათა და კოლმეურნეთა ხვედრითი წონა წინა წლებთან შედარებით გადიდდა.

მაგრამ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღებულთა შორის მუშათა და კოლმეურნეთა ხვედრითი წონა ძალიან მცირეა. ამასთან ხშირად ისეც ხდება, რომ თითქმის ერთნაირ პირობებში, ზოგ პარტორგანიზაციაში მუშათა და კოლმეურნეთა მიღება პარტიაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა პარტორგანიზაციებში. როგორც სვერდლოვსკის, ისე ნოვოსიბირსკის ოლქები თითქმის თანაბრად სამრეწველო ოლქებია. მაგრამ სვერდლოვსკის პარტორგანიზაციაში მუშათა ხვედრითი წონა პარტიაში 1955 წელს მიღებულთა შორის შეადგენს 47,2 პროცენტს, ხოლო ნოვოსიბირსკის ოლქში — 32,2 პროცენტს. ომსკის ოლქში პარტიაში მიღებულთა შორის კოლმეურნეები 31,7 პროცენტია, ხოლო სტალინგრადის ოლქში — სულ 11,4 პროცენტი. რით შეიძლება აიხსნას, რომ ნოვოსიბირსკის ოლქში ნაკლები მუშები მიიღეს პარტიაში, ვიდრე სვერდლოვსკის ოლქში, ხოლო სტალინგრადის ოლქში ნაკლები კოლმეურნეები, ვიდრე ომსკის ოლქში? სხვა არაფრით, თუ არა ნოვოსიბირსკისა და სტალინგრადის ოლქების პარტიული ორგანიზაციების უყურადღებო დამოკიდებულებით პარტიაში მიღების საკითხებისადმი. ეს, სამწუხაროდ, ეხება აგრეთვე მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ პარტორგანიზაციის პირად შემადგენლობაზე ბევრად არის დამოკიდებული საქმის წარმატება. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მოთხოვნები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების მოწესრიგების საქმეში და გადაჭრით გაადიდონ პარტიაში მიღებულთა შორის მუშათა და კოლმეურნეთა ხვედრითი წონა.

საჭირო აღარ არის ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელობა დიდია, რომ სწორედ მასზეა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული საქმის წარმატება, მეექვსე ხუთწლედის უდიდესი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. ამიტომ ისმება ასე მწვავედ ხელმძღვანელობის დონის გადაჭრით ამაღლების საკითხი, განსაკუთრებით რაიონებში.

თავის მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვმა ამხილა სერიოზული ნაკლოვანებანი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობის მეთოდებში: დეკლარაციულობა, კანცელარიულობა, ხელმძღვანელობა მეურნეობის ღრმად შეუსწავლელად, უუნარობა დარაზმონ ადამიანები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სიძნელეთა გადასალახავად, მოწინავეთა, ნოვატორთა გამოცდილების, მეცნიერების მიღწევების ფართოდ დასანერგავად სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა გადაჭრით მოღებოდა ბოლო ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიულ მეთოდებს, საოლქო კომიტეტები, სამხარეო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები რამდენადმე უკეთ მუშაობენ. შემცირდა სხდომებისა და თათბირების რაოდენობა. პარტიული მუშაკები უფრო ხშირად დადიან საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში და ცდილობენ მეტი დახმარება გაუწიონ ადგილებზე მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. სამწუხაროდ, ახლაც ცოტა რიდია ისეთი პარტიული ორგანოები, რომლებშიც მუშაკთა ძირითად დროსა და ძალებს კვლავ ნთქამს სასხდომო ფუსფუსი და ქაღალდების წერა და ანა ორგანიზატორული მუშაობა მასებში. თუ რა ეზრდა აქვს მუშაობის ასეთ სტილს, ძნელი მისახვედრი არ არის. სხდომებს ესწრებიან, ქაღალდებს წერენ, საქმე კი წინ არ მიდის. ბელორუსიის ვიტებსკის ოლქის შეხვოს პარტრაიკომის მდივანი ამხ. იგნატენკო ამასწინანდელ საოლქო პარტკონფერენციაზე ამბობდა: „აი უკვე 10 წელიწადია, რაც ჩვენსა და მთელ რიგ სხვა რაიონებს აკრიტიკებენ ყველა სხდომასა და თათბირზე, როგორც ჩამორჩენილებს. ამ ხნის თანძილზე შეიცვალა რაიკომის 19 მდივანი, რაიაღმასკომის 6 თავმჯდომარე. ჩვენს რაიონში მუშაობდა საქმის მდგომარეობის გამომკვლევი და შემსწავლელი 9 კომისია, მაგრამ რაიონი როგორც იყო ჩამორჩენილი, ისევე რჩება. პრაქტიკულად ვერც პარტიის საოლქო კომიტეტი, ვერც საოლქო აღმასკომი ვერ წყვეტენ რაიონისადმი დახმარების კონკრეტულ საკითხებს“.

ქაღალდების ჯღანის სენი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშიც ვითარდება, ამასთან ხშირად პარტიის რაიკომების დახმარებით, რომლებიც მოითხოვენ კრებებისა და თათბირების „ვრცელ“ ოქმებს, ყოველგვარ ცნობებს და სხვ. ამის შედეგად პირველადი პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთი მდივნის ყველაზე დიდი საზრუნავი ხდება არა ადამიანებთან მუშაობა, არამედ ქაღალდზე მუშაობა, რომელიც ნთქამს მთელ მის ძირითად დროს. აი მაგალითი ერთი ასეთი მდივნის — აზერბაიჯანის სსრ შამქორის რაიონის ციროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. რუსტამოვის მუშაობისა. მას კანცელარიული ყდები და რვეულები დასტებად ულაგია მაგიდაზე, ეტაჟერზე, შედგენილი აქვს პარტჯგუფების მუშაობის, ქალთა შორის მუშაობის, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი დახმარების, განცხადებებისა და საჩივრების, კომუნისტებისადმი დავალებების, პარტიული განათლების აღრიცხვის, მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობის აღრიცხვის ჟურნალები. მას აქვს ყდები წარწერებით: „კედლის გაზეთები“, „საბრძოლო ფურცლები“, „შეჯიბრება მეცხოველეობაში“, „შეჯიბრება მემინდვრეობაში“, „ტყის ნარგავების მეგობრები“. აგიტატორების მუშაობა აღირიცხება სამ რვეულში: „აგიტატორთა მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი“, „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აღრიცხვა“, „ყოველდღიური ამოცანები აგიტატორებისათვის“. წარმოიდგინეთ, რა აუარებელი დრო სჭირდება მთელ ამ კანცელარიულობას, რომელიც გარდუვალად აცილებს მდივანს ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას. ამავე დროს, კოლმეურნეობაში მწველავებთან და მწყემსებთან არ წარმოებს არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა. ფერმებში არ არის არავითარი მექანიზაცია, არ არის დღის განრიგი, პირუტყვის კვების რაციონი. მეცხოველეობის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია: წელიწადში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 484 ლიტრი რძე. მდივნის ყდებს კი სრულიადაც არ მოუცია რძე, ისინი ამ მხრივ უიმედოდ ბერწები აღმოჩნდნენ. **(სიცილი, ტაში).**

საჭიროა გავაუმჯობესოთ პარტიული აპარატის მუშაობა, ბოლომდე აღმოვფხვრათ კანცელარიული მეთოდები. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ მასებთან მუშაობა, მკვეთრად მიუბრუნდნენ კონკრეტულ საკითხებს, რაც დამყარებული უნდა იყოს საქმის, სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ღრმა ცოდნაზე, ჯეროვნად მოაწყონ მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა და დანერგვა ყველა საწარმოს, კოლმეურნეობის, მტსისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში.

საჭიროა აგრეთვე შემცირდეს პარტიული აპარატის შტატები, რათა იქ იყოს ცოტა, მაგრამ კვალიფიციური მუშაკი. ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი აპარატი შეამცირა 25 პროცენტით. ვფიქრობ, რომ ამით მხოლოდ დასაწყისი მიეცა შემდგომ შემცირებას. დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ და განვახორციელოთ პარტიული აპარატის შემცირება სამხარეო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებში, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში, პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში. ამით მათი მუშაობა მხოლოდ მოიგებს.

ამასთან დაკავშირებით — რამდენიმე სიტყვა სამოქალაქო უწყებების პოლიტგანყოფილებათა შესახებ. ერთ დროს პოლიტგანყოფილებებმა იქ, სადაც ისინი შექმნილი იყო, გარკვეული დადებითი როლი შეასრულეს, მაგრამ ახლა ისინი ნაკლებად იჩენენ თავს და იმეორებენ ტერიტორიული პარტიული ორგანოების მუშაობას.

ამხ. ხრუშჩოვი სამართლიანად ლაპარაკობდა რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკურ ჩამორჩენილობაზე. ამ ჩამორჩენილობისათვის, გასაგებია, პასუხს აგებენ რკინიგზების პოლიტგანყოფილებათა მუშაკებიც. ვინ, თუ არა მათ, უნდა დააყენოს რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური ჩამორჩენილობის საკითხი. მაგრამ ამოიღეს თუ არა მათ ხმა, თუნდაც კრიტიკი დასძრეს თუ არა ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესის სასარგებლოდ? არა. როგორც ჩანს, სავსებით მომწიფდა მათი ლიკვიდაციის საკითხი. **(ტაში).**

ბოლო მოუღოთ ცხოვრებისაგან იდეოლოგიური მუშაობის მავნე მოწყვეტას

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვმა ყოველმხრივ დაახასიათა პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა, გვიჩვენა, რომ ამჟამად ამ მუშაობის მთავარი ნაკლია ცხოვრებისაგან მნიშვნელოვნად მოწყვეტა, ის, რომ უნარი არ შესწევთ განაზოგადონ და მასებში გაავრცელონ კომუნისტური მშენებლობის მოწინავე, ცხოვრებით შემოწმებული ნიმუშები; ნაკლია აგრეთვე ამ მუშაობის სუსტი აქტივობა იმ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას. ეს სწორი და სამართლიანი კრიტიკაა.

პარტიას იდეოლოგიური მუშაობა მიაჩნია კომუნიზმის მშენებლობის დარგში მთელი თავისი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად. მისი მთავარი დანიშნულებაა პრაქტიკულად დაეხმაროს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მასების სოციალისტური შეგნების ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, დაუცხრომლად იბრძოლოს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ, შეაიარაღოს მშრომელები და, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი კადრები მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შემოქმედებითად განავითაროს ეს თეორია.

ამავე დროს ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა სუსტად არის გამიზნული ყველა ამ დიდი ამოცანის გადასაჭრელად და მნიშვნელოვანწილად ფუჭია, იქცევა ერთ და იმავე ცნობილ ფორმულათა და დებულებათა გაზეპირებად და ხშირად ზრდის ცხოვრებისაგან მოწყვეტილ მედავითნეებს, დოგმატიკოსებს.

ჩვენი პროპაგანდის მაზვილი მნიშვნელოვანწილად მიმართული იყო წარსულისაკენ, ისტორიისაკენ, თანამედროვეობის საკითხების სახიანოდ. ამასთან ჩვენი პარტიის ისტორიას ასწავლიდნენ ისე, რომ ისტორიული გამოცდილება არ ეხმარებოდა დღევანდელი დღის საკითხების სწორად გაგებას. ცუდი მდგომარეობაა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდისა და მოწინავე მუშების, ინჟინრების, კოლმეურნეების, მოწინავე საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების მუშაობის გამოცდილების პროპაგანდის საქმეში.

გამოდის, რომ პარტიული განათლების ქსელში მილიონობით კომუნისტები მრავალ წელს განუწყვეტლივ სწავლობდნენ ნაროდნიკთა, ეკონომისტთა, ბუნდელთა მცდარ შეხედულებებს და არ სწავლობდნენ იმას, თუ როგორ უნდა ვებრძოლეთ კაპიტალიზმის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებაში და როგორ უნდა ვამხილებდეთ ჩვენს ახლანდელ იდეურ მოწინააღმდეგეებს საერთაშორისო ასპარეზზე, არ სწავლობდნენ ეკონომიურ პროცესებს ჩვენს ქვეყანაში, ნოვატორთა, მოწინავე საწარმოთა, კოლმეურნეობათა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, რათა რაც შეიძლება მეტი ეფექტიანობით გაუძღვნენ მეურნეობას, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გაზარდონ მატერიალური დოვლათის წარმოება, უფრო წარმატებით გადაწყვიტონ კომუნისტური მშენებლობის სხვა ამოცანები.

ასეთი მდგომარეობის არანორმალობა ესმის ბევრს რიგითს კომუნისტსაც.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკალოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის სიტყვის დასასრული

ამის შესახებ კარგად თქვა სტალინგრადის ოლქის მიხაილოვსკის მტს-ის კომბაინერმა ამხ. იგნატოვმა: „აი უკვე მეცამეტე წელია ვსწავლობ წრეში პარტიის ისტორიას. მეცამეტეჯერ გველაპარაკებიან პროპაგანდისტები ბუნდის შესახებ. განა ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არა გვაქვს, გარდა ბუნდის კრიტიკისა? (**სიცილი**). ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მტს-ის, რაიონის, ოლქის საქმეები. ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ აწმყოთი და მომავლით, ხოლო ჩვენი პროპაგანდისტები ისე ჩაეფლნენ ნაროდნიკთა და ბუნდელთა საქმეებში, რომ თავი ვეღარ დაუღწევიათ“. (**სიცილი, ტაში**).

ამრიგად, პარტიული პროპაგანდა უკვე კარგავს მებრძოლ ბოლშევიკურ სულისკვეთებას.

მეტი წილი ჩვენი პროპაგანდისტები სუსტად ერკვევიან სოციალისტური წარმოების ეკონომიკის საკითხებში. პროპაგანდისტებს ხელმძღვანელობენ და ზრდიან ძალიან ხშირად ისეთი ადამიანები, რომლებმაც აგრეთვე არ იციან წარმოება ან ძალიან ზოგადი წარმოდგენა აქვთ მასზე. სად არის გამოსავალი? გამოსავალი ის არის, რომ გადაჭრით ჩავბათ პროპაგანდის, განსაკუთრებით ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის საქმეში ჩვენი სამეურნეო, პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელები.

საჭიროა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა პროპაგანდისტებისადმი. არ უნდა გამოვედევნოთ მათს რაოდენობას, არამედ უნდა შევარჩიოთ ისეთები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი დაუკავშირონ ჩვენი პროპაგანდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ამავე დროს საჭიროა მუდამ ვმუშაობდეთ პროპაგანდისტებთანაც, გვახსოვდეს, რომ ყველაზე უკეთესი პროპაგანდისტები „გამოიფიტებიან“ და „დაჭკნებიან“, თუ პარტიული ორგანოები არ უხელმძღვანელებენ მათ, არ წარმართავენ მათს საქმიანობას აქტუალური ამოცანების გადასაჭრელად, არ დაეხმარებიან მათ რჩევით, არ შეაიარაღებენ კონკრეტული მასალებითა და ფაქტებით. საჭიროა ისე გარდავქმნათ პროპაგანდისტთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა, რომ შეიძლებოდეს მათი შეიარაღება საჭირო ცოდნით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

ცხოვრებისაგან, პრაქტიკისაგან მოწყვეტილი და ჩამორჩენილია, სამწუხაროდ, არა მარტო ჩვენი პროპაგანდა, არამედ მნიშვნელოვანწილად თეორიული ფრონტიც.

ავიღოთ, მაგალითად, ეკონომიური მეცნიერებანი. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოების ეკონომიური განვითარების ღრმა პროცესების შესწავლა უნდა იყოს მთავარი, გადამწყვეტი მიმართულება მარქსისტული აზროვნების შესწავლასა და განვითარებაში. ეს როდი ნიშნავს, რომ უნდა შესუსტდეს ყურადღება პარტიის წარსული რევოლუციური გამოცდილების შესწავლისადმი ან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისადმი. მაგრამ საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში დადგა ისეთი ხანა, როცა ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიური მეცნიერების შესწავლასა და შემუშავებას, რადგან სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ობიექტური კანონების ცოდნა პირველ რიგში იძლევა შესაძლებლობას გამოვიყენოთ ეს კანონები კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარების ინტერესებისათვის.

ამ დარგში სასიხარულო ფაქტია პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს გამოცემა. მაგრამ ერთი სახელმძღვანელო არ კმარა, ხოლო სერიოზული მეცნიერული ნაშრომები, რომლებშიც მოცემული იქნება ეკონომიური პროცესების თეორიული გამოკვლევა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა.

ზოგიერთი ეკონომისტი თავის ნაწარმოებებში უშვებდა სერიოზულ შეცდომებს. პარტიას მოუხდა გაესწორებინა მთელი რიგი ვაი-ეკონომისტებისათვის, რომლებიც ავრცელებდნენ ანტიმარქსისტულ შეხედულებებს მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელების საჭიროების შესახებ. სერიოზული ზიანი მოგვაყენა ეკონომისტების მიერ სოციალიზმის დროს ტექნიკის მორალური გაცვეთის კატეგორიის უარყოფამ, რაც ნიშნავდა ტექნიკაში უძრაობისა და კონსერვატიზმის თეორიულ გამართლებას.

ეკონომისტები ცუდად სწავლობენ სოციალისტურ წარმოებაში ღირებულების კანონის მოქმედებას. ჩვენი არქიტექტორები, ზედმეტობით გატაცებულნი, ხალხის კაპიკს რომ არ უფრთხილდებოდნენ, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში ხშირად ჯერ კიდევ რომ არ ანგარიშობენ, თუ რა უჯდებათ ცენტნერი მარცვლეული, ხორცი, ამით უეჭველად იჩინა თავი ეკონომისტების ძიერ იმ საკითხის დაუმუშავებლობამაც, თუ კონკრეტულად როგორ მოქმედებს ღირებულების კანონი ჩვენს მეურნეობაში.

უყურადღებოდ არის მიტოვებული სახალხო მეურნეობის კონკრეტული დარგების ეკონომიკის საკითხების მეცნიერული დამუშავება. სსრ კავშირში არის 40-ზე მეტი სამეცნიერო-წაკვლევი დაწესებულება, რომლებმაც უნდა შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა. მაგრამ მათ ძალიან ცოტა რამ გააკეთეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმდიდრესი გამოცდილების განსაზოგადოებლად. უზომოდ გაჭიანურდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სახელმძღვანელოს, ისევე როგორც მრეწველობის ეკონომიკის სახელმძღვანელოს გამოშვება.

ჩვენი ცხოვრების, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანებისაგან თეორიული აზროვნების მოწყვეტა ფილოსოფიის დარგშიც არის.

უწინარეს ყოვლისა პრაქტიკისაგან ეკონომისტთა და ფილოსოფოსთა ერთი ნაწილის მოწყვეტის შედეგად ფართოდ გავრცელდა მედავითნეობა და დოგმატიზმი. არსი ცუდი სენისა, რომელსაც მედავითნეობა ეწოდება, მართო ის კი არ არის, რომ ამით დაავადებულებს უადგილო ადგილას მოჰყავთ ციტატები, არამედ ისიც, რომ თავიანთი სიმართლის უმაღლეს კრიტერიუმად მათ მიაჩნიათ არა პრაქტიკა, არამედ ამა თუ იმ საკითხზე ავტორიტეტთა აზრების არსებობა. ისინი კარგავენ გემოვნებას კონკრეტული სინამდვილის შესწავლისადმი, ყველაფრის მაგივრად იყენებენ ციტატებს და ამ ციტატებით მანიპულაციის ხელოვნებას. ციტატიდან ყოველი ოდნავი გადახვევა საფუძვლების რევიზიად მიაჩნიათ. მედავითნეთა ეს საქმიანობა არა მარტო უნაყოფოა, არამედ მავნეც არის. (**ტაში**).

ეჭვი არ არის, რომ დოგმატიზმისა და მედავითნეობის გავრცელებას ძლიერ უწყობდა ხელს პიროვნების კულტი. პიროვნების კულტის თაყვანისმცემლები მარქსისტული თეორიის განვითარებას მიაწერდნენ მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს და მთლიანად ეყრდნობოდნენ მათ. ყველა დანარჩენ მომაკვდავს კი თითქოს მხოლოდ უნდა აეთვისებინა და პოპულარიზაცია გაეწია იმისათვის, რასაც ეს ცალკეული პიროვნებანი ქმნიან. ამრიგად, უგულებელყოფილი იყო ჩვენი პარტიის კოლექტიური აზრის როლი, მოძმე პარტიების როლი რევოლუციური თეორიის განვითარებაში, ხალხის მასების კოლექტიური გამოცდილების როლი.

პარტია არასოდეს არ ურიგდებოდა დოგმატიზმს, მაგრამ ამჟამად მის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული სიმწვავე მიეცა. დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ამოცანას უაღრესად აქტუალურს ხდის. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის ყოველი დღე აყენებს სულ ახალ და ახალ საკითხებს, რომლებზეც თავისი სიტყვა უნდა თქვას თეორიამ. მთელ მსოფლიოში გიგანტური ცვლილებები ხდება, ბევრი საკითხი ახლა ახლებურად დგას. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ არ ჩამოვრჩეთ ცხოვრებას, ახალი პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას, მოითხოვს მარქსიზმის შემდგომ გამდიდრებასა და განვითარებას. ვ. ი. ლენინი, აღნიშნავდა რა მარქსიზმის შემოქმედებითს ხასიათს, ხაზგასმით ამბობდა, რომ „ჩვენ სრულებით. არ ვუყურებთ მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა **უნდა** წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ“ (თხზულებანი, ტომი 4, გვ. 252.)

ეს ამოცანა დასახულია ჩვენს წინაშეც, კერძოდ, ჩვენი ეკონომისტებისა და ფილოსოფოსების წინაშე. პარტია მოელის მათგან, რომ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის გიგანტური გამოცდილების განზოგადებით და იმ პროცესების ღრმა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმში ხდება, შექმნან კაპიტალური მეცნიერული ნაწარმოებნი, რომლებიც თეორიულ დახმარებას გაუწევენ საბჭოთა, სამეურნეო და პარტიულ კადრებს. რა თქმა უნდა, როცა მარქსისტები ამბობენ, რომ წინ წავწიოთ რევოლუციური თეორია ახალი პრაქტიკისა და მთელი მეცნიერების მიღწევების განზოგადების საფუძველზე, ისინი მუდამ გულისხმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებასა და გამდიდრებას მისი ურყევი პრინციპების ბაზაზე, ამ პრინციპების რევიზიის ყოველი ცდის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებები უაღრესად სერიოზულია. პარტია ვერ შეურიგდება მათ.

ამოცანა ყველა პარტიული ორგანიზაციისა, თავიდან ბოლომდე, ის არის, რომ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრი მობრუნება ცხოვრებისაკენ, პრაქტიკისაკენ, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული საკითხებისაკენ, პროპაგანდისა და აგიტაციის მჭიდრო კავშირისაკენ უპირველეს ყოვლისა იმ ამოცანებთან, რომლებიც დგას თვითეული საწარმოს და კოლმეურნეობის წინაშე მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდების საქმეში.

საჭიროა განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ მშრომელთა სოციალისტური შეგნების ამაღლებისათვის, ვაძლევდეთ მათ პასუხს საჭირბოროტო და მწვავე კითხვებზე, არ შევასუსტოთ ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ადამიანის შეგნებაში, გადაჭრით ვამხილოთ იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციული იდეოლოგია. ვიბრძვით რა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, ჩვენ არათუ არ უნდა შევახელოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის კრიტიკა, არამედ, პირიქით, ამ მიზნებითაც უნდა გავაძლიეროთ იგი, დამაჯერებელი მაგალითებითა და ფაქტებით ვამხილოთ იმპერიალიზმის აგრესიული იდეოლოგია და პოლიტიკა, ვამხილოთ კაპიტალისტური სისტემის ექსპლოატატორული არსი, ამ განწირულ სისტემას დავუპირისპიროთ სოციალისტური სისტემა, ვუჩვენოთ მისი უდიდესი უპირატესობანი, მაღალი და კეთილშობილური პრინციპები და მიზნები.

ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას უნდა დავუბრუნოთ ბოლშევიკური მებრძოლი სულისკვეთება და მიზანდასახულობა, რაც პარტიამ შეიმუშავა ათეული წლების მანძილზე, დავუქვემდებაროთ იგი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

პარტია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნებს, ახალი გამოცდილების საფუძველზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის, თეორიისა, რომელიც მთელი ჩვენი პოლიტიკისა და მთელი ჩვენი საქმიანობის მეცნიერული საფუძველია, წარმატებითი კომუნისტური მშენებლობისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოა.

* * *

ამხანაგებო! ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა. ყრილობა ჩვენს პარტიას, ქვეყანასა და საბჭოთა ხალხს უსახავს კომუნიზმის მშენებლობის ისეთ გრანდიოზულ პერსპექტივებს, რომ პირდაპირ გული ძგერს სასიხარულო მღელვარებისა და სიამაყისაგან. ამოცანების რა სიდიადეა ჩვენს წინაშე და რა დაუშრეტელი შესაძლებლობანია მათი წარმატებით გადაჭრისათვის. რა მშვენიერი ცხოვრება ისახება საბჭოთა ადამიანების წინაშე. რა უფრო მძლავრი, დევგმირული გახდება პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად ახლო მომავალში ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ხოლო მის გვერდით გაიზრდებიან, განმტკიცდებიან და აყვავდებიან სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები, მთელი დიადი სოციალისტური თანამეგობრობა. (**ხანგრძლივი ტაში**).

ამ შესანიშნავი პერსპექტივების წინაშე ჩვენი პარტია იმყოფება მონოლითური ერთიანობის, უდიდესი შემოქმედებითი აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობის მდგომარეობაში. იგი სარგებლობს მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და მხარდაჭერით. იგი შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ბრძნული უძლეველი მოძღვრებით.

ეჭვი არ არის, რომ თავისი XX ყრილობის შემდეგ პარტია ახალ, დიდ გამარჯვებებს მიაღწევს თავისი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ)

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველმხრივი, ღრმა ანალიზი, მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას იმ უდიდესი მუშაობის შესახებ, რომელიც პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით XIX ყრილობის შემდეგ გასწია. საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულია საბრძოლო პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლისა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. შეიძლება დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხალხი, ჩვენი დიადი პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული, მხურვალედ მოიწონებს და მხარს დაუჭერს ამ პროგრამას და, უეჭველია, განახორციელებს მას.

პარტია აწყობს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას, ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გამოხატავს საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებებს.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან, სოციალისტური მშენებლობის მთელი პრაქტიკიდან, რომლის მონაწილენიც ჩვენ ვართ, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჩვენმა პარტიამ საანგარიშო პერიოდში ახალი ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტები და უპარტიოები, შრომისა და მეცნიერების ადამიანები სულით და გულით იწონებენ და თავიანთი შრომითი საქმეებით აქტიურად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ბრძნულად და გაბედულად, მტკიცე რწმენით წაიყვანს საბჭოთა ხალხს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. (**ტაში**).

ამხანაგებო! გადაწყვეტილებამ პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ ქართველი ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად და ახალ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს. ეს თვალნათლივ ადასტურებს ჩვენი პარტიის უდიდეს ავტორიტეტს და საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულებას მისდამი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მიიჩნიეთ რა იგი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ნაყოფიერად შრომობს ქართველი ხალხი. საქართველოს მშრომელთა წარმატებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ჭეშმარიტად უდიდესია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით საქართველო აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა. წლითიწლობით წარმატებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, წარმოებს მათი აღჭურვა მოწინავე სამამულო ტექნიკით. წლითიწლობით იფურჩქნება და ვითარდება საქართველოს მდიდარი კულტურა. რესპუბლიკაში გამოიზარდნენ მეცნიერებისა და კულტურის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

თავისი მრავალი წლის გამოცდილებით ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დარწმუნდა, რომ კომუნისტურ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, რომ ჩვენი პარტიის მიზანი დიადი და კეთილშობილურია.

ქართველ ხალხს კარგად ესმის, რომ თვალსაჩინო მიღწევები პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, ხალხთა ურღვევი მეგობრობის — მათი აყვავებისა და ბედნიერების საიმედო საფუძვლის მეოხებით.

განუხრელად ახორციელებდნენ რა პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ძირითადად ვადამდე შეასრულეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის სახელმწიფო დავალებები. ხუთი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა 73 პროცენტით გაიზარდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ზე მეტი საწარმო. 1955 წელს 1950

წელთან შედარებით მარგანეცის ამოღება გაიზარდა 61 პროცენტით, ქვანახშირისა — 57 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 61 პროცენტით, ლითონდამამუშავებელი ჩარხების გამოშვება — 56 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

უკანასკნელ ორ წელიწადში ამუშავდა ორი ბრძმედი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, ორი კოქსქიმიური ბატარია, წვრილსორტული დგანი, ფურცელსაგლინავი დგანი. მწყობრში ჩადგა რუსთავის აზოტტუკის ქარხანა, დამთავრდა გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ამუშავდა ახალი აგრეგატები და საამქროები, მათ შორის რაფინირებული და ელექტროლიზური მანგანუმის საამქრო. მწყობრში ჩადგა შაორის ჰიდროელექტროსადგური. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში კონსტრუირებულია ახალი ტიპების ავტომანქანები.

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები განმტკიცდნენ გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით, გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად, გაძლიერდა პარტიის სასოფლო რაიკომების ორგანიზატორული საქმიანობა.

ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემდგომ ზრდას. გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები.

საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს კოლმეურნეობებმა 1955 წელს. მაგალითად, სახელმწიფოს ჩაბარდა 117 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1960 წელს — მეექვსე ხუთწლედის დამლევს — ჩვენ უნდა მოვკრიფოთ 160 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყურძნის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით, პურის დამზადების გეგმა — 121 პროცენტით. 1955 წელს წინა წელთან შედარებით დამზადებულია მეტი ხორცი, რძე, კვერცხი და მატყლი.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ღონისძიებანი წარმართეს მეცხოველეობის აღმავლობის ორგანიზაციისათვის.

შარშან კოლმეურნეობებმა პირველ შედეგებს მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდაში. განვლილ სამეურნეო წელს საერთო წველადობა მთლიანად კოლმეურნეობებში 50 პროცენტით გადიდდა. გარკვეული მუშაობა შესრულდა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებაში.

უნდა ითქვას, რომ წელს ზამთრის საძოვრებზე კარგად მიმდინარეობს ცხვრის გამოზამთრება, სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვის მთელი სულადობის გამოზამთრება.

მთელ თავის წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ ხელმძღვანელობას. მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მიღწეული წარმატებებით. ამას გვასწავლის პარტია. საჭიროა გაბედულად ვამხილოთ ნაკლოვანებები და შეცდომები მუშაობაში, გადაჭრით ვიბრძოლოთ თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, გადაჭრით გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ რეზერვები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ღრმად შევისწავლოთ და წარმოებაში დავნერგოთ საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 1955 წლის გეგმა. ცუდად სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები მრეწველობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის შესახებ.

რესპუბლიკაში არიან კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი, რომლებმაც არადამაკმაყოფილებლად დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო წელი. მეცხოველეობა ჯერ კიდევ არ გამხდარა სოფლის მეურნეობის მაღალპროდუქტიული და მაღალსაქონლო დარგი. რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი ჯერ კიდევ სუსტად არიან დაკავშირებული სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

ყველა ეს ნაკლი და შეცდომა აიხსნება უმთავრესად იმით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაოდ კონკრეტულად და ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, არ ეწევიან გადაწყვეტ ბრძოლას გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საკმაოდ ღრმად არ სწავლობენ რესპუბლიკის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პერსპექტიულ საკითხებს.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა სამართლიანად გააკრიტიკა პარტიული ორგანოები, აღნიშნა არსებითი ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში, მიგვითითა, რომ ეს მუშაობა ჩამორჩება ამოცანებს, რომლებსაც ჩვენი პარტია წყვეტს, მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ეს კრიტიკა მთლიანად ეხება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებსაც.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, „რათა გაძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. ისინი გააუმჯობესებენ პარტიულ ხელმძღვანელობას მრეწველობისადმი, სოფლის მეურნეობისადმი, გადაჭრით გააუმჯობესებენ მთელ იდეოლოგიურ მუშაობას და მჭიდროდ დაუკავშირებენ მას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს. მთელ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას პარტიული ორგანიზაციები მოახმარენ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების ამოცანების გადაჭრას.

ახალი დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით.

რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია ხუთწლედში უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,6-ჯერ. გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გამომუშავების, თუჯის გამოდნობისა და ქვანახშირის ამოღების მნიშვნელოვანი ზრდა. საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს შეგნებული აქვთ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების მთელი სირთულე და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უთუოდ უზრუნველყონ მათი წარმატებით

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ქამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ ვ. პ. მეტალნიკოვის სიტყვის დასასრული

შესრულება. ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი, მოვაწყოთ ყრილობის დირექტივების პრაქტიკული განხორციელება.

ამხანაგებო! კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მიზანია სოციალისტური ერების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების აყვავება. ამის შესახებ უაღრესად ნათლად თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვმა.

პარტია მოითხოვს ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს სოციალისტური სამშობლოს ერთიანობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა, როგორც ჩვენი დიდი სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველი.

საჭიროა გადაჭრით, ჩანასახშივე, აღვკვეთოთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინება, რა ალმთაც უნდა ინიღბებოდეს იგი, ულმობლად აღმოვფხვრათ ყოველივე ის, რაც მიმართულია ჩვენი ხალხების მეგობრობის, ერთიანობისა და ძმობის წინააღმდეგ.

ბერიას საზიზღარი ბანდა ცდილობდა დაერღვია ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა. იგი ცდილობდა დაერღვია ჩვენი ინტერნაციონალური ძმური კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან; იგი ცდილობდა ტერორის, უკანონობის, დაშინების გზით უნდობლობა ჩამოეგდო ხალხთა შორის. მას განზრახული ჰქონდა მეტიც, მაგრამ საბედნიეროდ მან ამის განხორციელება ვერ მოახერხა.

ამხანაგებო! ძნელია და შეუძლებელიც კი არის იმის თქმა, თუ რამდენი მწუხარება და უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს ბერიას საზიზღარმა ბანდამ. პარტიისა და ხალხის უაღრესად ერთგული ათობით, ასობით პატიოსანი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე გახდა ამ საზიზღარი ბანდის ვერაგული ინტრიგების მსხვერპლი, ბანდისა, რომელიც თავისი დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებდა დაშინების, თვალთვალისა და ტერორის მეთოდებს. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობას, წარმოშობდა მაამებლობისა და მლიქვნელობის ელემენტებს, დიდ ზიანს აყენებდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე და გადაჭრით აღკვეთა შეთქმულთა დანაშაულებრივი საქმიანობა და დიდი დახმარება გაგვიწია ამ საზიზღარი ბანდის მტრული საქმიანობის შედეგების ლიკვიდაციაში.

პირდაპირ უნდა განვუცხადო ყრილობას, რომ პარტიისა და მთავრობის ცნობილ ღონისძიებათა შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შეიქმნა ნამდვილი სამუშაო ვითარება, პარტიული ვითარება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლში.

და აი ამ ვითარებაში თვითეულ ადამიანს სრული შესაძლებლობა აქვს კეთილსინდისიერად იშრომოს თავისი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, იშრომოს და დარწმუნებული იყოს, რომ მის პატიოსან შრომას, საბჭოთა კავშირის მოქალაქის წრდებას იცავენ საბჭოთა კავშირის კანონები და რომ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მთელი ძალები ხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას. (ტაში).

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის წინ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში მოეწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები, კონფერენციები და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა. მათ ჩაიარეს დიდი აქტივობით, რესპუბლიკის წინაშე მდგომი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე მხილებულ იქნა არსებითი ნაკლოვანებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. ყრილობამ ცხადყო, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას უნარი შესწევს უახლოეს დროში აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი და აიყვანოს პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-მასობრივი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების დონემდე.

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე მოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო უფრო მჭიდროდ დარაზმული, ვიდრე ოდესმე. საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი მზად არიან უთუოდ შეასრულონ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ყველა დავალება, მთელი ძალები, ცოდნა და ენერგია მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის! ბრძოლას!

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც შექმნა გენიალურმა, უკვდავმა ლენინმა, ჩვენი ხალხი მტკიცე რწმენით და ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმის მშვენიერებისაკენ. (ტაში).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას 4 თებერვალს გადაეცა საბჭოთა მთავრობის ნოტა იმ საკითხზე, რომ ამერიკის სამხედრო ორგანოები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან, აგრეთვე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობენ, უშვებენ ბურთებს სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში.

8 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი პასუხი ნოტა:

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1956 წლის 8 თებერვლის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თავის პატივისცემას უდასტურებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და, თავისი მთავრობის მითითებით, პატივი აქვს შემდეგი პასუხი გასცეს საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 4 თებერვლის ნოტაზე.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აშკარად არეულია ერთმანეთში ორი რამ — მეტეოროლოგიური ოპერაცია, რის შესახებაც პრესაში იუწყებოდნენ, და წინანდელი საბჭოთა მტკიცებანი საბჭოთა კავშირის მიმართულებით პროპაგანდისტული ბურთების გაშვების შესახებ. უკანასკნელთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მთავრობა იხსენებს, რომ 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ზოგიერთი სიტყვიერი შენიშვნა გაუკეთა მოსკოვში ამერიკის საქმეთა რწმუნებულს, რომელიც უარყოფდა შეერთებული შტატების მთავრობის რაიმე პასუხისმგებლობას იმ მოქმედებისათვის, რასაც საბჭოთა მთავრობა უჩიოდა. შეერთებული შტატების მთავრობას კვლავ სურს დაადასტუროს, რომ იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ იღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირში პროპაგანდისტული ბურთების შეშვების რაიმე ღონისძიებებში.

რამდენადაც საბჭოთა მთავრობის ნოტაში ლაპარაკია მეტეოროლოგიური ბურთების საკითხზე, შეერთებული შტატების მთავრობა მოხარულია მიაწოდოს ინფორმაცია იმის დამატებად, რაც უკვე საყოველთაოდ ცნობილია. შეერთებული შტატების ხელშეწყობით ამჟამად წარმოებს მეტეოროლოგიური გამოკვლევა ბურთების გაშვებით, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ მინიატიურულ „სატელიტებს“ და რომლებიც ჰაერში რჩებიან რამდენიმე დღეს მეტად მნიშვნელოვან სიმაღლეზე, რასთან დაკავშირებითაც ისინი იმყოფებიან იმ სივრცის ფარგლებს გარეთ, რომელსაც კომერციული ავიატრანსპორტის ფრენისათვის იყენებენ.

მთელი რიგი ბურთები გაშვებულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, და ბევრმა გადაუარა შეერთებულ შტატებს. მაგალითად, ბურთმა, რომელიც 8 იანვარს გაუშვეს კალიფორნიაში, გადაუფრინა შეერთებულ შტატებს, ატლანტიკის ოკეანეს, ევრაზიის კონტინენტს და 20 იანვარს, როგორც გამოირკვა, სიგნალები გადმოსცა თავისი ადგილსამყოფელის შესახებ წყნარი ოკეანეს დასავლეთი ნაწილიდან.

ამ ღონისძიების განმარტება მოცემული იყო პრესისათვის განკუთვნილ ცნობაში, რომელიც ვაშინგტონში გამოქვეყნდა 9 იანვარს, და რომელსაც დართული ჰქონდა ბურთებისა და მათი დეტალების გამოსახულებანი. საბჭოთა მთავრობამ ალბათ იცის ეს ცნობა, მაგრამ მოხერხებულობისათვის ერთვის ცნობის პირი.*) თუმცა ბურთების უმეტესობა გაშვებულ იქნა შეერთებულ შტატებში, განცხადებას, რომ დამატებით გაიხსნა საკვლევი სადგურები ევროპაში, ალიასკაზე და ჰავაის კუნძულებზე, საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუწვევია რომელიმე მთავრობის მხრივ.

ბურთებს აქვთ ხელსაწყოები ისეთი მეტეოროლოგიური მოვლენების გასაზომავად და ჩასაწერად, როგორიც არის ჰაერის მდინარება, და ფოტოაპარატურა ღრუბელთა წარმოქმნის გადაღების მისაღებად, რომლებითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ჰაერის ნაკადების მოძრაობის სხვადასხვა სიჩქარეზე. გროვდება ბევრი ძვირფასი მეცნიერული ინფორმაცია. იმედი აქვთ, რომ მეტეოროლოგიური კვლევის ეს მეთოდი არსებითი წვლილი იქნება მომავალი საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მოწყობის პროგრამაში.

ხსენებული ღონისძიების გამოცხადებული მიზანი გასაგები ხდება იმ ფაქტით, რომ თვითონ მოწყობილობა შეიცავს ინსტრუქციებს რამდენიმე ენაზე, მათ შორის რუსულზე, რათა იგი დაუბრუნდეს და გადაეცეს იმ ხელისუფალთ, რომლებიც მიღებულ ცნობებს სწავლობენ. საბჭოთა მთავრობა რომ მეცნიერული კვლევის ინტერესებისათვის დაუბრუნებდეს იმ აპარატებს, რომლებიც მის განკარგულებაში მოხვდა, ამას დიდი მადლობით შეხვდებოდნენ.

ასეთ კვლევას ეწევიან რამდენიმე ხნის განმავლობაში შეერთებულ შტატებში რამდენიმე ათასი მეტეოროლოგიური ბურთის გაშვებით. ამ ბურთებს აქვთ დამცველი მოწყობილობა და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ ინტენსიური სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლისთვისაც კი. იმ ბურთებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობას შეუნიშნავს, აგრეთვე აქვთ დამცველი მოწყობილობა, რომელზეც ლაპარაკია ხსენებულ ცნობაში.

შეერთებული შტატების მთავრობა მოხარული იქნებოდა საბჭოთა მთავრობისათვის მიეცა დამატებითი განმარტებანი უსაშიშრობის იმ ზომების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით. მაგრამ წინასწარი წესით, რათა თავიდან აცილებულ იქნას გაუგებრობა, და საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგობის გამო, შეერთებული შტატების მთავრობა ეცდება თავიდან აიცილოს იმ ახალი ბურთების გაშვება, რომლებსაც, გარკვეული ცნობების საფუძველზე, შეუძლიათ გადაფრინდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“.

18 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ჩარლზ ე. ბოლენი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

*) დამატება ეხება ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო წესებს, რომლებიც შეეხებიან მეტეოროლოგიურ გაზოკვლევას, რასაც კავშირი არა აქვს იმ საჰაერო ბურთების სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოშვების საკითხთან, რომლებზეც ლაპარაკია საბჭოთა მთავრობის ნოტაში. (რედ.).

საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 18 თებერვლის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ა. წ. 8 თებერვლის ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც პასუხია საბჭოთა მთავრობის 4 თებერვლის ნოტისა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

4 თებერვლის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბჭოთა კავშირში დაჭერილია ამერიკის ბევრი საჰაერო ბურთი მთაზე დაკიდებული აპარატურით, რომელიც შეიცავს ავტომატურად მოქმედ ფოტოკამერებს ადგილმდებარეობის აეროფოტოგადაღებისათვის, რადიოგადამცემებს, რადიომიმღებებს და სხვ. ამასთან საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსთხოვა მიიღოს ღონისძიებანი, რომ შეწყდეს ასეთი ბურთების შემოშვება საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში.

საპასუხო ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ უარყოფს იმას, რომ ამერიკის ბურთებს უშვებენ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. მსგრამ ამავე დროს მოჰყავს მოსაზრება, რომელიც ვერ ამართლებს საჰაერო სივრცის დარღვევას, მოსაზრება იმის შესახებ. რომ საჰაერო ბურთების ფრენა არ წარმოადგენს საფრთხეს საჰაერო მიმოსვლისათვის.

ამის გამო საბჭოთა მთავრობა კვლავ აღნიშნავს, რომ ასეთი ბურთების შემოშვება სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში უხეშად არღვევს საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, და აცხადებს პროტესტს ამის წინაალმდეგ.

გარდა ამისა, მრავალი მონაცემი, რომელიც საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია, აგრეთვე ევროპის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მთავრობათა განცხადებანი ამის გამო, მოწმობენ იმას, რომ ამერიკის საჰაერო ბურთების ფრენა სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც საჰაერო ტრანსპორტს, ისე იმ რაიონების მოსახლეობას, სადაც ეს ბურთები ფრენენ. ყველასათვის ცხადია, რომ თვითმფრინავის დაჯახება საჰაერო ბურთთან, რომელსაც თან მიაქვს 650 კილოგრამი წონის ტვირთი, გარდუვალ კატასტროფას უქადის თვითმფრინავს. აგრეთვე ცხადია, რომ დიდ ლითონის კოპზე დაკიდებული ორ ყუთს 200-300 კილოგრამი საერთო წონის ბალასტით, რომლებიც თავისუფლად ვარდებიან დიდი სიმაღლიდან ბურთის ეგრეთწოდებული ავტომატური მოსპობის დროს, შეუძლია დააზიანოს შენობები, ტელეფონის ხაზები და ელექტროხაზები, სხვადასხვა ნაგებობანი და გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოშვებული ამერიკის ბურთები თითქოს არ წარმოადგენენ რაიმე საფრთხეს საჰაერო მიმოსვლისათვის, ეწინააღმდეგება ზუსტად დადგენილ ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც ეხება ბურთებსა და მათს მოწყობილობას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტა შემდეგ შეიცავს მტკიცებას, თითქოს ზემოაღნიშნული აპარატურით აღჭურვილი ბურთები საერთოდ განკუთვნილია მხოლოდ მეტეოროლოგიური კვლევისათვის.

საჰაერო ბურთებზე ჩამოკიდებული მოწყობილობის შესწავლამ, რაც საბჭოთა ექსპერტებმა განახორციელეს, ცხადყო, რომ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამ ბურთების შემოშვებას საერთო არა აქვს რა მეტეოროლოგიურ კვლევასთან, არამედ სულ სხვა მიზნებს ისახავს. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში დაჭერილი მრავალი ბურთიდან არც ერთს არა აქვს არავითარი აპარატურა, რომელიც განკუთვნილი იყოს ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების — ატმოსფეროს წნევის, ტემპერატურის, ჰაერის ტენიანობის და სხვ. გაზომვისათვის.

ფოტოფირი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფოტოგადაღებებით, რაც აღმოჩენილია სსრ კავშირში დაჭერილი საჰაერო ბურთების ფოტოკამერებში, მოწმობს, რომ ნამდვილი დანიშნულება აღნიშნული ბურთებისა, რომლებსაც ამერიკის სამხედრო ორგანოები საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში უშვებენ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის აეროფოტოგადაღებაა. უცხოეთის პრესისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მოსკოვში შესაძლებლობა ჰქონდათ პირადად დარწმუნებულიყვნენ ამაში, როცა დაათვალიერეს მოწყობილობა ამერიკის საჰაერო ბურთებისა, რომლებიც დემონსტრირებული იყო სპეციალურ გამოფენაზე მოსკოვში.

რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომელიც განსხვავდება იმ უდავო მონაცემებზე დამყარებული დასკვნებისაგან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაშია, სსრ კავშირის მთავრობის წინადადებაა მოეწყოს ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ან, მაგალითად, ლონდონში, პარიზში, თუ ამაზე დათანხმდებიან შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობები, სსრ კავშირში დაჭერილი საჰაერო ბურთებისა და ამ ბურთებზე დაკიდებული აპარატურის გამოფენები. რამდენადაც საბჭოთა კავშირის განკარგულებაშია ბევრი დაჭერილი საჰაერო ბურთი, საბჭოთა მთავრობა მზად არის მოაწყოს ასეთი გამოფენები აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც, თუ დათანხმდებიან ამ სახელმწიფოთა მთავრობები, და თუ საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ მოყვანილი მტკიცებანი დასაბუთებულია.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მისაღებად მიიჩნევს ამ წინადადებას, საბჭოთა მთავრობა ზრდად არის გაგზავნოს ამ გამოფენებზე საბჭოთა ექსპერტები, რომლებსაც შეეძლებოდათ შესაბამისი ახსნა-განმარტება მიეცათ ექსპონირებული მოწყობილობის შესახებ და წარედგინათ სხვა ინფორმაცია, რომელიც შეეხება ამ ბურთების ფრენას სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის გაცნობა ამგვარ გამოფენებთან შესაძლებელს გახდის თვალნათლივ დარწმუნებას იმაში, თუ რისთვის არის განკუთვნილი საჰაერო ბურთები, რომლებიც დაჭერილია სსრ კავშირში, და წარმოადგენენ თუ არა ისინი საფრთხეს საჰაერო ტრანსპორტისა და მოსახლეობისათვის.

საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი მხრივ მიღებული იქნება ღონისძიებანი, რომ შემდგომში აღარ გამეორდეს საჰაერო ბურთების შემოშვება, რომლებსაც შეუძლიათ გადაფრინონ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

მოსკოვი, 1956 წლის 18 თებერვალი“.

ბ-ნმა ჩარლზ ბოლენმა განაცხადა, რომ იგი გადასცემს ამ ნოტას თავის მთავრობას და ახლა არა აქვს რაიმე კომენტარები ამ ნოტის არსის გამო.

„საბჭოთა საქართველოს 35 წელი“

საქართველოს [illegible] მეცნიერული [illegible] ... — „საბჭოთა საქართველოს 35 წელი“.

საესტრადო მხატვრული ბრიგადა „ჩვენ ციმბირიდან ვართ“

ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა ნოვოსიბირსკის ფილარმონიის საესტრადო მხატვრული ბრიგადა „ჩვენ ციმბირიდან ვართ“. საესტრადო ბრიგადამ კონცერტები გამართა საქართველოს ფილარმონიის საზამთრო თეატრში. მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა კონცერტის მონაწილემ, სსრ კავშირის საგასტროლო ბიუროს სოლისტმა მარია გოროდოშჩევამ, რომელმაც როიალზე დიდი წარმატებით შეასრულა ვალსი ოპერიდან „ფაუსტი“, ლისტის მეორე უნგრული რაფსოდია და ხაჩატურიანის „ცეკვა ხმლებით“.

საინტერესო იყო აგრეთვე ორიგინალური ეპარის მსახიობების მოკუნტინების გამოსვლა, მ. ლესნიკოვის და ა. ლიამკინას სიმღერები.

საესტრადო ბრიგადა თბილისის შემდეგ კონცერტებს გამართავს ერევანსა და ბაქოში.

ახალი სპექტაკლები

„ჩვენებურები“

რუსთაველის სახელობის თეატრში ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა მ. ჯაფარიძის პიესა „ჩვენებურები“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ა. დეალოშვილს, მხატვრობა — ნ. ცაგარელს. მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩიხლაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ჩარკვიანი, გ. გეგეჭკორი, ბ. ზაქარიაძე, მსახიობები ლ. ღამბაშიძე, მ. მიქელაძე, ე. საყვარელიძე, თ. თეთრაძე, ლ. ფიჩხუა, მ. გეგეჭკორი, ბ. კობახიძე, დ. გაგუა.

„ზავი“

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მორიგ ახალ დადგმად წარმოადგინა მ. მრეველიშვილის დრამა „ზავი“. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. უფიტაშვილს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. სუმბათაშვილს, მუსიკა — ა. ჩორგოლაშვილს, ცეკვების დადგმა ჯ. ბაგრატიონს. მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ს. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. სიბილა, ა. ონიაძე, კ. დაუშვილი, მსახიობები ნ. აფაქიძე, დ. ოქროსცვარიძე, ა. ვერულეიშვილი, დ. ქუთათელაძე, ა. ბეგალიშვილი, ა. კობალაძე და სხვ.

1956 წლის 22 თებერვალს სალამოს 7 საათზე საკავშირო კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში საქართველოს კპ თბილისის კომიტეტი იწვევს თბილისის სკოლების დირექტორებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეების, სკოლების საშეფო ორგანიზაციების დირექტორებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირს საკითხზე:

„თბილისის სკოლების 1955-56 სასწავლო წლის პირველი ნახევრის მუშაობისა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებების მიერ სკოლებისათვის საშეფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება მწერალ

თედო სახოკიას

გარდაცვლებას. გამოსავეიება 21-II, 5 ს. მწერალთა კავშირის კლუბიდან (მაჩაბლის ქ. 13). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

მეუღლე ნადია, შვილი ავთანდილ ნათესაებით იუწყებიან

მიხეილ პავლეს-ძე ძაგანიას

გარდაცვლებას. პანაშვიდი 21, 22-II, 8 ს. გამოსვენება 23-II, 4 ს. მესხიშვილის ქ. № 9.

მეუღლე ოლია, შვილი ჯემალ, დები თამარ, ნინო, ძმა გრიგოლ ოჯახით იუწყებიან დამსახურებული პედაგოგის

შალვა ბესარიონის-ძე გაბადაძის

გარდაცვლებას. გამოსვენება 21-II, 4 ს. საბჭოს ქ. № 105.

მშობლები ბარნაბ, ნადია, მეუღლე რუსუდან იუწყებიან

რევაზ ბარნაბის-ძე ცომაიას

გარდაცვლებას. დაკრძალვა 26-II, 5 ს. ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან, ყდანოვის ქ. № 49.

მეუღლე ტასო, შვილები სერგო, რევაზ იუწყებიან

ალექსანდრე დავითის-ძე აბაშმაძის

გარდაცვლებას. დაკრძალვა 23-II სოფელ შემოქმედში (ბახარაძის რაიონი).

მეუღლე ნინო, შვილები ოთარ, რუსუდან, ძმა ვასო იუწყებიან

ანტონ იოსების-ძე ლითანიშვილის

გარდაცვლებას. გამოსვენება 21-II, 4 ს. ბინიდან, ბორჯომის ქ. № 12.

აკადემიკოს ა. ს. ალადაშვილის სახელობის ქალაქის II კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილება და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ

თადეოზ იესეს-ძე მამალაძის

გარდაცვლებას.

მეუღლე მარო, შვილი ნოდარ, ძმა რაფენ, დები ლადა, ნინო, ანეტა ოჯახებით იუწყებიან

სერაფიონ დარისპანის-ძე კაკაბაძის

გარდაცვლებას. პანაშვიდი 21, 22-II, 7 ს. გამოსვენება 23-II, 4 ს. ბინიდან, ბაქოს ქ. № 6.

დედა თეოდორა, მეუღლე ანა, შვილი გენადი, ძმები ვანო, დავით, შოო, დები მარო, გალინა, თინა ოჯახებით იუწყებიან

სეით ამბაკოს-ძე კაპანაძის

გარდაცვლებას. გამოსვენება 21-II, 2 ს. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლიდან, რუსთაველის პროსპ. № 16.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

ჩინეთის პრესა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახებ

პეკინი, 19 თებერვალი. (საკადესი). ჩინეთის გაზეთები კვლავ ფართოდ აშუქებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას. დღეს გაზეთები „ჟენმინჟიბაო“, „გუანჭენჟიბაო“, „გუანმინჟიბაო“, „ბეიჭინჟიბაო“ და სხვები ბეჭდავენ ცნობებს ყრილობის 18 თებერვლის სხდომების შესახებ და უცხოეთის გამოხმაურებას.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. ამ მოხსენებაში ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე განზოგადებულია ის წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, განზოგადებულია სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება. ეს მოხსენება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მაგალითს იძლევა. ისტორია დაგვანახებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ არა მარტო გააშუქა საბჭოთა ხალხის ბრძოლის გზა, არამედ დასახა კიდეც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემდგომი განუხრელი განვითარების კურსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ნათქვამია სტატიაში, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, იგი სახელოვანი მაგალითია სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტ-ებისათვის. ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა პოლიტიკური პარტია, რომელსაც ასეთი დიდი გავლენა მოეხდინოს კაცობრიობის ბედზე და ისტორიის განვითარების მსვლელობაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უძლეველობის საწინდარი ის არის, რომ იგი შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს ხალხთა მილიონიან მასებთან, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით დაუცხრომლად აღმოფხვრის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები მკაცრად იცავენ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განყოფილება პარტიის შესახებ მომავალ პარტიებს მდიდარ საგულისხმო გამოცდილებას აძლევს იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების დარგში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრმა და კადრის ყველა მუშაკმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ ეს დოკუმენტი, აამაღლონ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნის დონე.

პოლონეთის პრესა დაწვრილებით აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას

ვარშავა, 19 თებერვალი. (საკადესი). პოლონეთის გაზეთები კვლავ ბეჭდავენ დაწვრილებით ანგარიშებს XX ყრილობის სხდომების, დელეგატების გამოსვლების შესახებ, აგრეთვე უცხოეთის პრესის კომენტარებს.

დღეს „ტრიბუნა ლიუდუმ“ და „ჟიცე ვარშავიმ“ დაბეჭდეს ამხ. ა. ი. მიკოიანის სიტყვის სრული ტექსტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილ სტატიაში ვარშავის გაზეთი „ტრიბუნა მაზოვეცკა“ წერს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა იძლევა იმის ახალ დადასტურებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიას ურღვევი ინტერნაციონალური კავშირი აქვს მოძმე პარტიებთან, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ამაში ადვილად გვარწმუნებს ტორეზისა და ტოლიატის სიტყვები. მათ ილაპარაკეს თავიანთი მებრძოლი პარტიების სახელით, რომლებიც მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე პოზიციებზე დგანან.

ჩეხოსლოვაკიის პრესა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შესახებ

პრაღა, 20 თებერვალი. (საკადესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის პრესა განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუ